**ხელშეკრულება 06/02**

ქ. თბილისი

03.01. 2018 წ.

**ს(ს)იპ ქ. თბილისის # 178 საჯარო სკოლა**

მისი დირექტორი **ქალბატონ ნანა ლაბაძის** -ს სახით (შემდგომში შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, შპს "აქვაპოინტი" (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორიქალბატონ დოდო ხარშილაძის სახით, ვხელმძღვანელობ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია sagania **სადეზინფექციო სამუშაოები**

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. **შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტი

| დეზინფექცია | დერატიზაცია | დეზინსექცია |
|---|---|---|

CPV90921000 CPV 9092000

| სამუშაოს დასახელება | ფიზიკური ფართი მ2 | დამუსავები ს ჯერადობა | ოპერატიული ფართი ჯერადობის გათვალისწინებით | ერთეულის ფასი | ერთი თვის თანხა | საერთო თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეზინფექცია | 400 | 10 | 4000 | 0,10 | 40,0 | 400,0 |
| დერატიზაცია | 200 | 10 | 2000 | 0,05 | 10,0 | 100,0 |
| დეზინსექცია | | მოთხოვნით | | 0,12 | 0,0 | |
| სადეზინფექციო ხსნარი | | მოთხოვნით | | 1,20 | 0,0 | |
| სულ : | | | | | 50,0 | 500,0 |

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი

| | | |
|---|---|---|
| დეზინფექცია / m2 | 0,10 | ლარი |
| დერატიზაცია / m2 | 0,05 | ლარი |
| დეზინსექცია / m2 | 0,12 | ლარი |
| სადეზინფექციო ხსნარი ლტრ. | 1,20 | ლარი |

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ტრანსპორტისა და სხვა სახის ხარჯების ჩათვლით: ერთი თვის: ორმოცდაათილარი სულ: ხუთასილარი

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას,რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. საგარანტიო ვადა შესყიდვიდან 1 თვე.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვიდ ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20(ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვარკეთილის 2 მ/რნ.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველთათვის.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. **ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარისწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შეყიდვს ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახადი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული (საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ქონების, დანადგარების დაზღვევა და სხვა).

7.4. ანგარისშწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის იბიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების **5.3.** მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ **არაუმეტეს ხუთი საბანკო დღის ვადაში**.

7.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი

8. **მხარეთა უფლებები-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს სესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

8.2. შემსყოდველი ვალდებულია:
_მოახდინოს ანგარიშსწრება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
_უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
_ მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

_ მიაწოდოს შესყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი 2.1 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 20 /ოცი/ კალენდარული დღისა და შემდგომ იგივე პერიოდულობით, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადებში.;

დაიცვას ხელსეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის მომსახურების შესრულების ადგილმდებარეობის,მომსახურების ჯერადობის და ხელშეკრულების საერთო ფასის ცვლილების შესახებ შემსყიდველმა უნდა აცნობოს მიმწოდებელს 14 კალენდარული დღით ადრე ზეპირი და წერილობითი ფორმით.

9. **მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევაზე**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უსედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება,რომელიც მას მიადგება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

**9.6. პუნქტი 8.5-ის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული 1 თვის მომსახურება ითვლება შესრულებულად, და ექვემდებარება ანაზღაურებას.**

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეის მიერ ხელმოწერის მომენტიდან მომენტიდან, მომსახურეობის გაწევა ხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**31.12. 2018 წ.**

10.2.

წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.ხელშეკრულების შეწყვეტა რომელიმე მხარის მიზეზით,უნდა მოხდეს წინასწარ 2 კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე( გამონაკის შემთხვევაში სიტყვიერი შეთანხმებით).

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო რაოდენობა ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიწ პასუხისმგებელი სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხაეს.

## 13. დავები და მისი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შეუსრულებლობისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევასი მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.

შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორიელებს: დირექტორი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ აცნობებს მიმწოდებელა წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2.

არცერტ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იქეს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ს(ს)იპ ქ. თბილისის # 178 საჯარო სკოლა<br>ს/ნ 206 031 916<br>ქ. თბილისი. ვარკეთილი 2 მ/რნ.<br>ტელ: 279 50 14<br>მობ:<br>ხელმოწერა | შპს "აქვაპოინტი"<br>ს/ნ 206 247 578<br>ქეთევან წამებულის გამზ. N 25, თბილისი<br>ს/ს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი<br>TBC BGE22<br>ა/ა GE24 TB11 0000 0360 2007 28<br>ტელ: (+995 32) 305 333<br>მობ: 595 79 0058<br>ხელმოწერა |